

ხელშეკრულება №100

(ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი)

DAISY e. XPERT საკონტროლო სალარო აპარატის შემოსავლების სამსახურთან

GPRS კავშირის, საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი

24 ივნისი 2019 წ.

ერთი მხრივ, შპს „ჯორჯიან სერვის ნეტოორკი“ ს/კ: 406049823 (შემდგომში „მიმწოდებელი“) იურისტის გიორგი წაჟამის სახით და მეორე მხრივ, სსიპ „აჭარის მუზეუმი“ ს/კ 245769271 (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის - სულან აქროპირიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას:

1.1.1 სააბონენტო გადასახადის გადახდის შემდგომ გაუწიოს შემსყიდველის საკუთრებაში არსებულ საკონტროლო სალარო აპარატების ("DAISY e. XPERT" საქართველო ნომრებით DY00028953, DY00038683, DY00086043 და DY00071584), სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურება, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილება.

1.2 ამ მუხლის 1.1.1 პუნქტში აღნიშნული მომსახურების გაწევის ვადა:

- სალარო აპარატებზე საქართველო ნომრებით DY00028953, DY00038683, და DY00071584 - 2019 წლის 16 ივნისიდან 2020 წლის 16 ივნისამდე პერიოდი.

- სალარო აპარატზე საქართველო ნომრით DY00086043 - 2019 წლის 20 ივნისიდან 2020 წლის 20 ივნისამდე პერიოდი.

1.3. შესყიდვის ობიექტის კოდი: CPV 50311000 - საოფისე სააღრიცხვო მანქანების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება. DY00086043

2. მომსახურების გაწევის წესი და პირობები

2.1. სსა-ს შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურების ხანგრძლივობა განისაზღვრება მისი რეგისტრაციიდან 1 (ერთი) წლით.

2.2 სსა-ს საგარანტიო პერიოდი აითვლება მისი პირველადი რეგისტრაციის მომენტიდან და სრულდება 3 კალენდარული წლის გასვლისთანავე. საგარანტიო მომსახურება გულისხმობს მიმწოდებლის მხრიდან სსა-ის ნებისმიერი ტექნიკური გაუმართაობის მიზეზების აღმოფხვრას იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი მიმწოდებელს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თითოეულ საანგარიშო თვეზე გადაუხდის ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ სააბონენტო გადასახადს; საგარანტიო მომსახურების ღირებულება გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებაში.

2.3. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის შესაბამის სერვისცენტრში, შესაბამისი კვალიფიკაციის ტექნიკური პერსონალის მიერ. აღნიშნული მომსახურების მისაღებად შემსყიდველი ვალდებულია დაზიანებული სსა მაიწოდოს მიმწოდებელს შესაბამის სერვის ცენტრში, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია განახორციელოს ტექნიკური და საგარანტიო მომსახურება.

2.4. იმ შემთხვევაში, თუ სსა-ის დაზიანება გამოწვეულია შემსყიდველის მხრიდან მომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული წესების არასწორად გამოყენების, ძაბვის ცვალებადობის, სსა-ს შიდა მოწყობილობაში შესვლის მცდელობის, მისი მექანიკური დაზიანების, ფორს მაჟორული შემთხვევის შედეგად, შემსყიდველი კარგავს მიმწოდებლისაგან საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების მიღების მოთხოვნის უფლებამოსილებას;

2.5. ამ მუხლის 2.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია განაახლოს სსა-ს საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება, მხოლოდ მისი აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შემდეგ, რომლის ღირებულებაც განისაზღვრება ცალკე ხელშეკრულებით.

3. მიმწოდებლის უფლებამოსილება

3.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით, ნაწილობრივ ან/და მთლიანად შეუჩეროს ან/და შეუწყვიტოს შემსყიდველს სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურების, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილების მომსახურების გაწევა, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის არ განხორციელდება ხელშეკრულების მე-4-ე მუხლით გათვალისწინებული სააბონენტო გადასახადის დროულად და სრულად გადახდა.

4. მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი მომსახურების სააბონენტო გადასახადი ერთ საერთო სალარო აპარატზე განისაზღვრუსა წლის 40 (სამოცი) ლარის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით, შესაბამისად, 4 (ოთხი) საკონტროლო სალარო აპარატზე შეადგენს 240 (ორასორმოცი) ლარს, რომლის საფასურიც ირიცხება სს „ლიბერთი ბანკის“ ანგარიშზე.

- 4.2. შემსყიდველის მიერ მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე წინასწარ ჩარიცხვის გზით;
- 4.3. შემსყიდველს დაერიცხება მთლიანი (1 წლის) სააბონენტო გადასახადი ყოველთვიურად 5 ლარის ოდენობით ერთ სსა-ზე.
5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი გაგრძელების და შეწყვეტის პირობები
- 5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან;
- 5.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
- 5.2.1. მომწოდებლის მიერ, თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- 5.2.2. შემსყიდველის მიერ, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- 5.2.3. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
- 5.3. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 30 ივნისამდე.
6. დაგის გადაწყვეტის წესი
- 6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დაურეგულირებელი საკითხები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
7. დასკვნითი დებულებანი
- 7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
- 7.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ან/და ნაწილის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სრულ ბათილობას;
8. მხარეები და მათი რეკვიზიტები:

8.1. მიმწოდებელი	8.2. შემსყიდველი
<p>შპს "ჯორჯიან სერვის ნეტორკი" ს/კ: 406049823 (032) 2 500 111 www.gsn.ge ელ. ფოსტა: info@gsn.ge სს "თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCGE22, ა/ნ GE70TB7114436080100001</p> <p>.....</p> <p>წარმომადგენელი: გიორგი წაქაძე</p>	<p>სსიპ „აჭარის მუზეუმი“ ს/კ 245769271</p> <p>მისამართი ხარიტონ აზვლედიანის ქ. 4</p> <p>დირექტორი სულხან ოქროპეტირიძე</p> 